სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის ანგარიში

სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო არის ქვეყანაში ერთადერთი სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანო სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროში.
სააგენტო სხვადასხვა დასახელებით ფუნქციონირებდა 2006 წლიდან. იგი შეიქმნა „სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, ხოლო 2011 წლიდან ჩამოყალიბდა საჯარო სამართლის იურიდიულ პირად.
სააგენტოს ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქციაა ადამიანების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვაზე ზრუნვა უვნებელი სურსათის მიწოდების გზით. ამ და სხვა მნიშვნელოვანი ვალდებულებები ხორციელდება ცენტრალური აპარატისა და 11 რეგიონული სტრუქტურული ერთეულის მეშვეობით.

სააგენტოს საქმიანობის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს:

- ✓ სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობისა და ხარისხის დაცვის უზრუნველყოფა
- ✓ ჰიგიენური, ვეტერინარულ-სანიტარიული და ფიტოსანიტარიული მოთხოვნებისა და წესების დაცვაზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელება
- ✓ სურსათის/ცხოველის საკვების, ეპიზოოტიური და ფიტოსანიტარიული ვითარების შეფასების საფუძველზე რისკის მართვა და კომუნიკაცია
- ✓ პესტიციდების, აგროქიმიკატების, ვეტერინარული პრეპარატების (საშუალებების) და მინერალური წყლის ადგილწარმოშობის დასახელების რეგისტრაცია და კონტროლი
- ✓ წყლის სასაქონლო პროდუქციისათვის კატეგორიის მინიჭება
- ✓ ცხოველების განსაკუთრებით საშიში სნეულებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-სამკურნალო და სალიკვიდაციო ღონისძიებების ორგანიზება
- ✓ საკარანტინო და განსაკუთრებით საშიში მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაცვა
- ✓ კერძო ვეტერინარული საქმიანობის კოორდინაცია და ზედამხედველობა
- ✓ ნებართვებისა და სერტიფიკატების გაცემა კანონმდებლობით დადგენილი წესით
- ✓ საფრთხეებისა და შესაძლო რისკების თაობაზე საზოგადოების დროული ინფორმირებულობა

სურსათის უვნებლობა

სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის მიზანია ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის და მომხმარებელთა ინტერესების დაცვა, რაც რისკის საფუძველზე შემდეგი მექანიზმებით ხორციელდება: ინსპექტირება, ზედამხედველობა, მონიტორინგი, ნიმუშის აღება, დოკუმენტური შემოწმება. სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის მიზნით სააგენტო ინსპექტირებას ახორციელებს გაფრთხილების გარეშე, გეგმურად და არაგეგმურად.

გეგმური ინსპექტირება არის სახელმწიფო კონტროლის ერთ-ერთი მექანიზმი, რომლის დროსაც ბიზნესოპერატორებთან ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობა სურსათის წარმოების, გადამუშავებისს, დისტრიბუციისა და პირველადი წარმოების ეტაპზე. გეგმური ინსპექტირება ხორციელდება რისკზე დაფუძნებული სახელმწიფო კონტროლის წლიური პროგრამის შესაბამისად.
2015 წელი გეგმური ინსპექტირების თვალსაზრისით გამორჩეული იყო იმით, რომ ქვეყანაში პირველად ჩატარდა სამკურნალო დაწესებულებების, უმწეოთა სასადილოებისა და სასმელი წყლის სათავე ნაგებობებში.
გარდა ამისა, ინსპექტირება ჩატარდა საქართველოს ყველა რეგიონში არსებულ კერძო და საჯარო საბავშვო ბაგა-ბაღებისა და სკოლების კვების ობიექტებში.

2015 წელს გეგმურად ინსპექტირებულია:

- ✓ 1290 საბავშვო ბაგა-ბაღისა და სკოლის კვების ობიექტი. 2014 წელთან შედარებით, საბავშვო ბაგა-ბაღის სასადილოების ინსპექტირების რაოდენობა გაიზარდა 100%-ით.
- ✓ 564 ხორცის წარმოება/რეალიზაციის ობიექტი. 2014 წელს ინსპექტირებული იყო 107 ხორცის წარმოება/რეალიზაციის ობიექტი. ამ პროფილის ბიზნესოპერატორთა ინსპექტირების რაოდენობა გაიზარდა 427%-ით.
- ✓ 1053 საზოგადოებრივი კვების (რესტორანი, სასადილო, კაფე) ობიექტი. 2014 წელს გეგმურად ინსპექტირებულია იყო 300 საზოგადოებრივი კვების (რესტორანი, სასადილო, კაფე) ობიექტი. ამ პროფილის ბიზნესოპერატორთა ინსპექტირების რაოდენობა გაიზარდა 251%-ით.
- ✓ 2015 წელს, მთლიანად განხორციელდა 16458 შემოწმება (ინსპექტირება, დოკუმენტური შემოწმება), რაც 2,2 -ჯერ აღემატება 2014 წლის მაჩვენებელს (7324).

არაგეგმური ინსპექტირება არის წინასწარ დაგეგმვის გარეშე ჩატარებული სახელმწიფო კონტროლი, რომელიც ხორციელდება სახელმწიფო კონტროლის

შედეგების საფუძველზე, მათ შორის, სააგენტოს მიერ აღებული ნიმუშის ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგების საფუძველზე. არაგეგმური ინსპექტირების შედეგი შეიძლება გახდებს შეტყობინებები მოსახლეობის ან სხვადასხვა ორგანოს მხრიდან და ა.შ.

იხილეთ გეგმური და არაგეგმური ინსპექტირებების სტატისტიკა, ასევე შედარებითი მონაცემები წლების მიხედვით

2015 წლის ინსპექტირების სტატისტიკა

№	ინსპექტირების განხორციელების წელი	ინსპექტირების რაოდენობა				საწარმოო პროცესის შეჩერება	ჯარიმა	
		გეგმური	არაგეგმური	გადამოწმება	სულ		რაოდენობა	თანხა (ლარი)
2.	2015 (12 თვე)	3794	705	3725	8224	153	529	319 400

2015 წლის და 2014 წლის ინსპექტირების შედარება

№	ინსპექტირების განხორციელების წელი	ინსპექტირების რაოდენობა				საწარმოო პროცესის შეჩერება	ჯარიმა	
		გეგმური	არაგეგმური	გადამოწმება	სულ		რაოდენობა	თანხა (ლარი)
1.	2014 (12 თვე)	2133	627	2424	5184	113	414	251 800
2.	2015 (12 თვე)	3794	705	3725	8224	153	529	319 400

2011-2015 წლების ინსპექტირებების სტატისტიკა



დოკუმენტური შემოწმება არის სახელმწიფო კონტროლის მექანიზმი, რომლის დროსაც დამოუკიდებლად ან სახელმწიფო კონტროლის სხვა მექანიზმებთან ერთად ხორციელდება სურსათის/ცხოველის საკვების ბიზნესოპერატორის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტების, მათ შორის, ჩანაწერებისა და სურსათის/ცხოველის საკვების ეტიკეტირების შემოწმება.

იხილეთ დოკუმენტური შემოწმების სტატისტიკა:



მიუხედავად იმისა, რომ 2015 წელს განხორციელდა 4-ჯერ მეტი დოკუმენტური შემოწმება, 2014 წელთან შედარებით 14%-ით შემცირდა გამოვლენილი შეუსაბამობების პროცენტული მაჩვენებელი.

ნიმუშის აღება

2015 წელს სურსათის უვნებლობის სააგენტოს უფლებამოსილმა პირებმა სათანადო წესით აიღეს და ლაბორატორიაში ჩააბარეს სურსათის (მათ შორის, სასმელი წყლის) 4218 ნიმუში/სინჯი. დარღვევა გამოვლინდა 773 შემთხვევაში, რაც 7%-ით ნაკლებია წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით (2014 წელს 4190 ნიმუშიდან დარღვევა გამოვლინდა 1059 შემთხვევაში).

2015 წელს ტყვიის შემცველობაზე გამოკვლეულ იქნა სურსათის სულ 654 ნიმუში/სინჯი, დარღვევა გამოვლინდა 11 ნიმუშში, კერძოდ:

- ✓ სასმელი წყლის 88 ნიმუში/სინჯი. სასმელი წყალი (მ.შ. ჩამოსხმული) დარღვევა გამოვლინდა 1 შემთხვევაში, წყლის სასაქონლო პროდუქცია ნატურალური მინერალური წყალი "მარეთი".
- ✓ არაცხოველური წარმოშობის სურსათის 350 ნიმუში. დარღვევა გამოვლინდა 4 ნიმუშში (ჭარხალი, ყავა, თხილი, სუნელი (ორეგანო).
- ✓ ცხოველური წარმოშობის სურსათის 153 ნიმუში. დარღვევა გამოვლინდა 6 ნიმუშში, კერძოდ: საქონლის ხორცი - დარღვევა 4; კვერცხი - დარღვევა 1; თევზი - დარღვევა 1;
- ✓ თაფლის 14 ნიმუში **(თაფლის ნიმუშები გამოკვლეული იქნა ლატვიის სურსათის უვნებლობის, ცხოველთა ჯანმრთელობისა და გარემოს ინსტიტუტი „ბიორ“-ში) -** დარღვევა არ გამოვლენილა**;**
- ✓ ალკოჰოლური სასმელების 49 ნიმუში - დარღვევა არ გამოვლენილა.

მონიტორინგი არის სახელმწიფო კონტროლის მექანიზმი, რომლის ფარგლებში ხორციელდება წინასწარ დაგეგმილი დაკვირვებები და გაზომვები სურსათის/ცხოველის საკვების საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შესაფასებლად. მონიტორინგის ფარგლებში ხდება სარეალიზაციო ობიექტებიდან სურსათის ნიმუშების აღება და აკრედიტებულ ლაბორატორიაში გამოკვლევა.

იხილეთ მონიტორინგის სტატისტიკა :



ზედამხედველობა არის სახელმწიფო კონტროლის მექანიზმი, რომლის დროსაც ხორციელდება სურსათის/ცხოველის საკვების ბიზნესოპერატორის საქმიანობაზე დაკვირვება. 2015 წელს, 2014 წელთან შედარებით, ვეტერინარული ზედამხედველობა (ზედამხედველობის ერთ-ერთი სახე) განხორციელდა 17%-ით მეტ სასაკლაოზე.

2015 წელს ვეტერინარული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ ხელშეკრულება გაფორმდა და ზედამხედველობა განხორციელდა ცხოველთა 96 და ფრინველთა 6 სასაკლაოში.

2015 წლის განმავლობაში მოქმედ ცხოველთა და ფრინველთა სასაკლაოებში დაიკლა (პირველადი მონაცემებით) 275 389 ცხოველი და 583 000 ფრთა ფრინველი, მათ შორის: 201 806 მსხვილფეხა ცხოველი, 66 431 ღორი, 6 412 წვრილფეხა ცხოველი, 928 ბოცვერი და 583 000 ფრთა ფრინველი, რაზედაც გაიცა 307 849 ცალი ვეტერინარული მოწმობა N 2.

იხილეთ ზედამხედველობის სტატისტიკა:



გაცემული სერტიფიკატები

2015 წელს საქართველოდან ექსპორტირებულ სურსათზე გაიცა 150 ვეტერინარული სერტიფიკატი.

საზღვარგარეთ ინსპექტირება

ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული სურსათის (სასურსათო კვერცხის, ფრინველის ხორცის, ფრინველის მექანიკურად განცალკევებული ხორცისა და ღორის გაყინული ხორცის) საქართველოში იმპორტის განხორციელებისათვის სურსათის დეპარტამენტის უფლებამოსილმა პირებმა პროდუქციის დამზადების ადგილზე განახორციელეს 32 სახელმწიფო (ვეტერინარული) კონტროლი შემდეგ ქვეყნებში: თურქეთი, ჩინეთი, ბელორუსია, უკრაინა.

გაწეული კონსულტაციები

სურსათის 153 ბიზნესოპერატორს გაეწია კონსულტაცია, მათ შორის:
სამუშაო ადგილზე (სურსათის ეროვნულ სააგენტოში) - 113 ბიზნესოპერატორს;
გასვლითი კონსულტაცია - 40 ბიზნესოპერატორს.

მიღწეული შედეგები:

2015 წელს სახელმწიფო კონტროლი გაცილებით მასშტაბური იყო, ვიდრე დანარჩენ წლებში. სააგენტოში მიმდინარე ინსტიტუციურმა და საკადრო ცვლილებებმა უზრუნველყო სამმომხმარებლო ბაზრის დაცვა, სკოლამდელი და სასკოლო, ასევე სამედიცინო დაწესებულებების კვების ბლოკების მასშტაბური შემოწმება, რის შემდეგაც ბევრად მეტად იქნა დაცული მომხმარებელი, ვიდრე გასულ წლებში. სახელმწიფო კონტროლის ეფექტურობას ხელი შეუწყო საკანონმდებლო ცვლილებებმა. მაგალითად, რძისა და რძის პროდუქტების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის ამოქმედებამ რადიკალურად შეცვალა რძის პროდუქტების ბაზარზე არსებული ვითარება. ნორმატიული აქტების სრულყოფის შედეგად ინსპექტირებები განხორციელდა უფრო ეფექტიანად. ინსპექტირების განხორციელების პროცესში სამკერდე პორტატული აპარატურის დანერგვის შედეგად გაიზარდა ინსპექტორთა კონტროლის მექანიზმები. ჩატარებული ტრენინგების შედეგად ამაღლდა ინსპექტორთა მოტივაცია და კომპეტენცია, რამაც, თავის მხრივ, გაზარდა ინსპექტირების ეფექტურობა.

ვეტერინარული კეთილსაიმედოობის უზრუნველყოფა

ვეტერინარიის დეპარტამენტი ზრუნავს ქვეყანაში ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობის შენარჩუნებასა და კონტროლზე. ახორციელებს ეპიზოოტიური მდგომარეობის რისკის ანალიზს, ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატების რეგისტრაციას. ადგენს ცხოველებისა და ადამიანების საერთო საშიში მასობრივი, გადამდები დაავადებების გაჩენა-გავრცელების მიზეზებს და იღებს საჭირო ზომებს ამ დაავადებების პრევენციის, პროფილაქტიკის, ლოკალიზაციისა და ლიკვიდაციის უზრუნველსაყოფად. ვეტერინარიის დეპარტამენტის უმნიშვნელოვანესი ფუნქციებია ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატების მიმოქცევის კონტროლი, ცხოველთა იდენტიფიკაცია რეგისტრაციის უზრუნველყოფა და კონტროლი, ბიზნეოპერატორებისთვის ვეტერინარული მომსახურება, ცხოველთა სნეულებების დიაგნოსტიკა, ცხოველთა გადაყვნა-გადარეკვაზე, ბიოლოგიური ნარჩენების შეგროვებაზე, უტილიზაცია და განადგურებაზე ზედამხედველობა.

2015 წელს ჩატარებული ვაქცინაციები

დაავადება თურქულზე ვაქცინირებულია 1 541 113 მსხვილფეხა და 865 061 წვრილფეხა პირუტყვი (პირობითი სული). სერომონიტორინგი ვირუსის ცირკულაციისა და ვაქცინაციის წარმატების ხარისხის დადგენის მიზნით არასტრუქტურულ ცილებზე (NSP) გამოკვლეულია 3 630 ნიმუში ხოლო სტრუქტურულ ცილებზე (SP) 532 ნიმუში. შედეგად დაავადების შემოჭრა/გავრცელების რისკი დაყვანილია მინიმუმამდე.

დაავადება ჯილეხზე ვაქცინირებულია 451 821 მრპ, 379 969 წრპ და 5 105 ცხენი (პირობითი სული). ასევე იძულებითად აიცრა 19,000 ცხოველი. 2012 წელთან შედარებით დაავადების გამოვლინება 25%-ით შემცირდა ცხოველებში და 52%-ით ადამიანებში.

დაავადება ცოფზე ვაქცინირებულია 257 531 ძაღლი და კატა, ასევე იძულებით აიცრა 46,572 ცხოველი. პირველად საქართველოში განხორციელდა სერომონიტორინგი ვაქცინაციის წარმატების ხარისხის დადგენის მიზნით. აღსანიშნავია, რომ 2014 წელთან შედარებით დაავადების გამოვლინება 20%-ით შემცირდა შინაურ ცხოველებში (ძაღლი/კატა).

ნოდულარულ დერმატიტზე ვაქცინაცია ხორციელდება არსებული რისკებიდან გამომდინარე. ვაქცინირებულია 167,780 მრპ. შედეგად დაავადების გავრცელების რისკი დაყვანილია მინიმუმამდე.

ცხვრისა და თხის ყვავილზე ვაქცინირებული/რევაქცინირებულია 1 416 931 წრპ (პირობითი სული). დაავადების გავრცელების რისკი დაყვანილია მინიმუმამდე.

ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელებაზე დამუშავებულია: 12,915 ცხოველი; 3,589 სადგომი; 30 ჰექტარი საძოვარი. შედეგად შემცირებულია დაავადების გავრცელების რისკი ცხოველებსა და ადამიანებში. აღსანიშნავია, რომ 2014 წელთან შედარებით დაავადების გამოვლინება და ლეტალობა 75%-ით შემცირდა ადამიანებში.

შემუშავდა **ბრუცელოზის** კონტროლის 2016-2018 წლების გრძელვადიანი სტრატეგია, რომელიც გულისხმობს კომპლექსური ღონისძიებების გატარებას, მათ შორის: მსხვილფეხა საქონლის დიაგნოსტიკურ გამოკვლევებს. მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის პროფილაქტიკურ ვაქცინაციას.

ტუბერკულოზის გამოვლინების მიზნით გაძლიერდა მონიტორინგი ცხოველთა სასაკლაოებზე. მიმდინარეობს დაავადებაზე საეჭვო ცხოველების კარკასისგან ნიმუშების აღება და ლაბორატორიული კვლევა. დადებითი პასუხის შემთხვევაში - მათი წარმომავლობის მიკვლევადობა და კერის გამოკვლევა ალერგიული მეთოდით.

სისტემატურად მიმდინარეობდა ცხოველთა დაავადებებზე სხვადასხვა სახის საინფორმაციო კამპანიები (ცოფის, ჯილეხის, ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელების, ღორის აფრიკული ცხელების შესახებ).

ცხოველების იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია

ცხოველთა ჯანმრთელობის კონტროლის, აღრიცხვიანობის და მიკვლევადობის უზრუნველყოფის მიზნით, გრძელდება ცხოველთა იდენტიფიკაცია-ნიშანდება. 2015 წელს იდენტიფიცირებულია 386 219 მრპ და 92 356 წრპ. 2015 წლის ნოემბერში დაიწყო წვრილფეხა პირუტყვის იდენტიფიკაცია. დაინერგა ცხოველთა იდენტიფიკაცია რეგისტრაციის ერთიანი ელექტრონული რეესტრი.

ვეტერინარული პრეპარატების რეგისტრაცია და კონტროლი

2015 წელს ქვეყანაში სარეგისტრაციოდ შემოვიდა 364 ვეტერინარული პრეპარატი, საიდანაც რეგისტრაცია 351 პრეპარატს მიენიჭა.
პარალელურად, მიმდინარეობდა ვეტერინარული სავაჭრო ობიექტების ინსპექტირება. ხორციელდებოდა ვეტერინარული პრეპარატების ხარისხის მონიტორინგი ისეთ კონტროლქვემდებარე ობიექტებში, როგორებიცაა აფთიაქი, სამკურნალო, ზოომაღაზია, საბითუმო ბაზარი, პრეპარატების დამამზადებელი საწარმო. 2015 წელს შემოწმდა 230 ობიექტი. ვეტერინარული პრეპარატების ხარისხის მონიტორინგის მიზნით, განხორციელდა 201 ნიმუშის ვეტერინარული პრეპარატის კვლევა.

ცხოველების სეზონური გადაადგილება

ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის და დაავადებების შემცირების მიზნით რუსთავისა და მარნეულის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე აშენდა გადასარეკი ტრასების ბიოუსაფრთხოების ორი პუნქტი. პუნქტების მშენებლობა სურსათის ეროვნული სააგენტოს, სამხრეთ კავკასიაში შვეიცარიის თანამშრომლობის ოფისის (SCO), საერთაშორისო ორგანიზაცია „მერსი ქორფსის“ „მცირე კავკასიის ალიანსების პროგრამის“(ALCP) ერთობლივი ძალისხმევით განხორციელდა. სულ ქვეყნის მასშტაბით 6 ასეთი პუნქტი მოეწყობა. ბოუსაფრთხოების პუნქტი გულისხმობს შემოღობილ, ბეტონის საფარით მოწყობილ ტერიტრიას, სადაც განათავსებულია პირუტყვის სადეზინფექციო გასაბანი აუზები, სადეზინფექციო საშხაპეები, წყლის რეზერვუარები, საწყობი, ვეტპუნქტები.

შედეგები

- 2015 წლის მანძილზე ვეტერინარიის სფეროში გატარებული ქმედითი ღონისძიებების შედეგად მკვეთრად შემცირდა ზოონოზური დაავადების შემთხვევების გამოვლინება ადამიანებში.

ფიტოსანიტარიული კეთილსაიმედოობის უზრუნველყოფა

ფიტოსანიტარიის დეპარტამენტის ფუნქციაა ქვეყანაში საკარანტონო ღონისძიებების განხორციელება, მავნე ორგანიზმების შემოტანისა და გავრცელებისაგან ქვეყნის ტერიტორიის დაცვა.
დეპარტამენტი ზრუნავს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფიტოსანიტარიული დიაგნოსტიკაზე, მავნე ორგანიზამების გავრცელების პროგნოზირებასა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების განხორციელებაზე, კარანტინს დაქვემდებარებული პროდუქციის ფიტოსანიტარიული საკარანტინო შემოწმებაზე.
ფიტოსანიტარიის დეპარტამენტი სტრუქტურული ერთეულების მეშვეობით ახორციელებს მცენარეული წარმოშობის პროდუქციის, სატრანსპორტო საშუალებების, საწყობების და ობიექტის გაუსნებოვნების ორგანიზებას. არეგისტრირებს პესტიციდებსა და აგროქიმიკატებს.
ახორციელებს ფიტოსანიტარიულ მონიტორინგსა და რისკის ანალიზს. პასუხისმგებელია ფიტოსანიტარიული და რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის გაცემაზე. ევალება ბიზნესოპერატორების ფიტოსანიტარიული მომსახურება.

მავნებლების წინააღმდეგ ჩატარებული შეწამვლის ღონისძიებები

სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ყოველწლიურად ხორციელდება

განსაკუთრებით საშიში და საკარანტინო მავნე ორგანიზმების გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებები ქვეყნის ტერიტორიაზე.

ამერიკული თეთრი პეპლის საწინააღმდეგო ღონისძიებები 2015 წელს ჩატარდა 498 ჰექტარ ფართობზე: მათ შორის სამეგრელოს რეგიონში 210 ჰექტარზე; გურიის რეგიონში 130 ჰექტარზე; აჭარის რეგიონში 68 ჰექტარზე, კახეთის რეგიონში-90 ჰექტარზე. აღსანიშნავია, რომ წინა წლებში ამერიკული თეთრი პეპლის გავრცელების ინტენსივობა დასავლეთ საქართველოში მინიმუმამდეა შემცირებული, რაც წინა წლებში გატარებული ფართომასშტაბიანი ღონისძიებებით არის განპირობებული.

2015 წელს აღინიშნებოდა **იტალიური კალიის** მასობრივი გავრცელება. მავნებლის გავრცელების კერებში ჩატარდა ქიმიური წამლობები 33 427 ჰექტარ ფართობზე, მათ შორის 4000 ჰექტარი დამუშავდა ავიაციის გამოყენებით: კახეთის რეგიონი - 30872 ჰექტარი; ქვემო ქართლის რეგიონი - 2155 ჰექტარი; სამცხე ჯავახეთი - 400 ჰექტარი. აღნიშნული ქმედითი ღონისძიებების შედეგად შესაძლებელი გახდა 6 მილიონი ლარის ღირებულების სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავალის შენარჩუნება.

კოღოების წიააღმდეგ 2015 წელს სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ პირველად დამუშავდა 3260 ჰა ფართობი. ჩატარებული ღონისძიებების შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა ტრანსმისიული დავადებების გადამტანების რიცხოვნობა შავიზღვისპირეთის საკურორტო ზოლში და კახეთის რეგიონში (ლაგოდეხი, დედოფლისწყარო, სიღნაღი).

პესტიციდებისა და აგროქიმიკატების რეგისტრაცია

2015 წელს დარეგისტრირდა 136 პესტიციდი და 101 აგროქიმიკატი. პესტიციდების პრეპარატული ფორმების გადაფასების პროგრამის ფარგლებში, ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის მიზნით, 20 პრეპარატი ამოღებულია რეგისტრაციიდან.

პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ხარისხის კონტროლი

ფიტოსანიტარიიდა დეპარტამენტი 2015 წელს სისტემატურად ახორციელდება სარეალიზაციო ქსელში განთავსებული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ხარისხის სახელმწიფო კონტროლს. შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, გურიის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, სამცხე-ჯავახეთის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის-ქვემო სვანეთის, კახეთის რეგიონების, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში და ქ. თბილისის ტერიტორიაზე შემოწმდა 93 სარეალიზაციო ობიექტი, ლაბორატორიული კვლევა ჩაუტარდა პესტიციდების 170 ნიმუშს.

საკარანტინო მავნებლის გავრცელების დადგენა

ქვეყნის ტერიტორიაზე 9 საკარანტინო მავნე ორგანიზმის გავრცელების დასადგენად, რეგიონებში აიღეს 365 მცენარეული ნიმუში.

გაცემული სერტიფიკატები

2015 წელს საქართველოდან ექსპორტირებულ მცენარეულ პროდუქციაზე გაიცა 7107 ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი. აქედან - 6480 ექსპორტის, 627 - რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი; ქვეყნიდან ექსპორტირებულია 586 116 ტონა მცენარეული წარმოშობის პროდუქცია.
საქართველოში ფიტოსანიტარიული ზომების საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის და ეროვნული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზების მიზნით, 6 საწარმოს მიენიჭა შესაფუთი ხის მასალის მარკირების გამოყენების უფლება.

შედეგები:

- ფიტოსანიტარიის დეპარტამენტის მიერ 2015 წელს საკარანტინო და განსაკუთრებით საშიში მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაცვის მიზნით მავნებლების გავრცელების კერებში ჩატარებული ღონისძიებების შედეგად თავიდან იქნა აცილებული მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზარალი. დამუშავებულ ფართობებზე შენარჩუნდა მოსავალი და მწვანე საფარი. ადამიანებსა და გარემოზე მავნე ზემოქმედების აღკვეთის მიზნით რეგისტრაცია შეუჩერდა საშიშ პესტიციდებს; კოღოების წინაღმდეგ ჩატარებული ღონისძიებების შედეგად არ დაფიქსირებულა ტრანსმისიური დაავადების გადატანის არც ერთი შემთხვევა. გაიზარდა ფიტოსანიტარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის საექსპორტო პოტენციალი. საქართველომ დაიმკვიდრა ფიტოსანიტარიულად კეთილსაიმდეო ქვეყნის იმიჯი, რამაც ხელი შეუწყო საექსპორტო პოტენციალის გაზრდას.

სურსათის ეროვნული სააგენტო და ევროინტეგრაცია

ევროინტეგრაციის საკითხთა ინფორმაციის და კომუნიკაციის სტრატეგიის შესაბამისად, შემუშავდა 2015 წლის სამოქმედო გეგმა. სურსათის ეროვნული სააგენტოსა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლები მონაწილეობდნენ საინფორმაციო შეხვედრებში კერძო სექტორთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ბიზნეს და აკადემიური წრის წარმომადგენლებთან. მომზადდა საინფორმაციო ბროშურები სურსათის უვნებლობის და ვეტერინარიის აქტუალურ საკითხებზე. 2015 წელს კომუნიკაციის პროგრამის ფარგლებში შეხვედრები ჩატარდა შემდეგ საკითხებზე:

- ✓ ქართული წარმოების სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ევროკავშირის ბაზარზე გატანის მოთხოვნები
- ✓ ცხოველური წარმოშობის პროდუქციის წარმოების მოთხოვნები
- ✓ ევროკავშირთან გაფორმებული ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებით (DCFTA) საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებები და მათი შესრულების მიმდინარეობა
- ✓ კერძო და არასამთავრობო სექტორთან აქტიური კომუნიკაციის მიზნით პერიოდულად იმართებოდა შეხვედრები სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან არსებული სამოქალაქო დარბაზის ფორმატში.

დასკვნა

2015 წელს მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროში.

- ✓ ბიზნესოპერატორების საინფორმაციო ბაზის სრულყოფის მიზნით, ჩატარდა ბიზნესოპერატორების იდენტიფიკაცია და შეიქმნა ერთიანი ელექტრონული რეესტრი
- ✓ გამკაცრდა ღვინის და ალკოჰოლიანი სასმელების კონტროლი, რომლის მიზანიც მომხმარებელთა ინტერესების და ქართული ბაზრის ფალსიფიკაციისგან დაცვაა
- ✓ შეიქმნა ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის ერთიანი ელექტრონული ბაზა
- ✓ სააგენტოს რეგიონული სამსახურების გაძლიერების შედეგად, მოსახლეობას საშუალება აქვს ადგილზე ისარგებლოს ყველა სერვისით, რომელიც სურსათის უვნებლობას, ვეტერინარიას და მცენარეთა დაცვას ეხება
- ✓ ევროკავშირის მხარდაჭერით, აშენდა, განახლდა და თანამედროვე სტანდარტებით აღიჭურვა 6 ადგილობრივი ოფისი
- ✓ ორჯერ მოიმატა სააგენტოში მოქალაქეების მხრიდან შემოსული შეტყობინებების რაოდენობამ და მათზე რეაგირებამ.